ასლ

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
09. 09. 2011 N 96
თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
2011 წლის 8 ივლისის N 71
ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2011 წლის 8 ივლისის N 71 ბრძანების პუნქტი 1 და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 1 – სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი განათლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (1 აგვისტო – 31 აგვისტო, www.nea.ge, www.eqe.ge), განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011 წლის 2 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე, გამოსასვლელი დღეების გარდა (კვირა), 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);

2. ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2011 წლის 8 ივლისის N 71 ბრძანების დანართი 3 და 2011 წლი 8 ივლისის N 72 ბრძანების დანართი 5, პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების ნაწილში და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სტუ–ს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი (სემესტრი)
პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის	
0–დან 105-მდე	მეორე (მესამე სემესტრი)
105-დან	მესამე (მეხუთე სემესტრი)

3. ბრძანება განთავსდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე

სწორია: